”დინამო” (თბილისი) – ”ნისტრუ” (კიშინიოვი) 2:0 (1:0)

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის ”დინამოს” სტადიონი. 2 აგვისტო.

”დინამო”: კუცია, ჟიბა, ჩივაძე, პაიკიძე (ფრუიძე), ჯოხაძე, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, ჩქარეული, ცაავა, შენგელია.

”ნისტრუ”: ჩებოტარი, ტეგლიაცოვი, მოსორა, ტიუნიკოვი, შჩერბეი, მაქსიმი, ხლოპოტნოვი (კარასი), მაციურა, სპირიდონი, დუბროვნი, მარქარიანი.

მსაჯი: ი. სავჩნკო (მოსკოვი).

თბილისის ”დინამო” რომ წლევანდელ სეზონში პატივმოყვარულ მიზნებს აღარ ისახავს, კარგად მოეხსენება ჩვენს მაყურებელს. იგი ახლა უფრო იმით არის დაინტერესებული როგორ ითამაშებს, რა სახე ექნება გუნდს მომავალში. მართალია, ”ნისტრუ” ის გუნდი არ არის, რომელთანაც შესაძლებელია საკუთარი შესაძლებლობის სრულად შემოწმება, მაგრამ ასე თუ ისე, მასპინძლები მაინც ვალდებულნი იყვნენ 2 ქულა აეღოთ და ეს ამოცანა შეასრულეს კიდეც.

მატჩის საკმაოდ დიდი ნაწილი ”დინამომ” მეტოქის ნახევარზე გაატარა, გუნდი ბევრს უტევდა, დროდადრო ძალზე საინტერესოდაც და მე-15 და 67-ე წუთებზე შენგელიასა და ჯოხაძის მიერ გატანილი გოლები, ალბათ, ის მინიმუმია, რაც თბილისელ ფეხბურთელებს შეეძლოთ გაეკეთებინათ.

დამაკმაყოფილებლად ითამაშა ”დინამოს” დაცვამ, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ შეტევაში კიშინიოველთა სუსტი თამაშის გამო მასპინძელთა მცველებს მაინცდამაინც დიდი ჯაფა არ დასდგომიათ.

შეხვედრის ბოლო 20 წუთში, როცა უკვე გადაწყვეტილი იყო მატჩის ბედი, სტუმრები შედარებით გააქტიურდნენ, მაგრამ თამაშში რაიმე არსებითი ცვლილებების შეტანა ვეღარ შეძლეს.

საბოლოოდ ყველა ის კითხვა რაც ფეხბურთის მოყვარულს გაუჩნდა ბოლო ხანებში, ბუნებრივია, უპასუხოდ რჩება. ერთადერთი, რაც შუქს მოჰფენს ამ საკითხებს, არის ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი. ეჭვი არ არის, ამ მატჩებში ”დინამო” უთუოდ შეეცდება ტრადიციულად შესაფერი ადგილი თუ არა მაყურებლის სიმპათია მაინც დაიბრუნოს.

ი. ბერიაშვილი.
”ლელო”, 4 აგვისტო, 1983 წ.